პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
707 N 10 305
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 4 მარტი, 1989 წელი ● № 10 (3090) ● СУББОТА, 4 МАРТА 1989 г.

ხელმძღვანელის პოზიცია

## დავიმსახუროთ ხალხის ნდობა და სიყვარული

თიანეთის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების პირადმა შემადგენლობამ 1988 წლის საანგარიშო პერიოდში აქტიური ღონისძიებები განახორციელა სამოქმედო ტერიტორიაზე დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის, მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისა და ყოველდღიური საქმიანობის სრულყოფის მიზნით.

შეიძლება მოვიყვანოთ სხვადასხვა ციფრობრივი მონაცემები, რომლებიც მუშაობის გააქტიურებაზე მიუთითებენ, მაგრამ ჩვენს წინაშე მდგომი პრობლემები და გადასაწყვეტი საკითხები მიგვანიშნებენ, რომ დღევანდლამდე გაწეული შრომა მხოლოდ პირველი ნაბიჯებია იმ დიდ გზაზე, რომელიც წინ გვაქვს და რომლის გასავლელადაც მომავალში ძალების მაქსიმალური მობილიზაცია იქნება საჭირო. თუნდაც ის ფაქტი, რომ სამოქმედო ტერიტორიაზე გაიზარდა მძიმე დანაშაულობათა რიცხვი, ვერ შევძელით ყველა დანაშაულის გახსნა და დამნაშავის მიმართ სასჯელის გარდაუვალობის ლენინური პრინციპების განხორციელება, ის, რომ არც თუ იშვიათია სიმთვრალეში ჩადენილი და რეციდიული დანაშაულობები — მიუთითებს პირადი შემადგენლობის მუშაობაში არსებულ კონკრეტულ ხარვეზებსა და სერიოზულ ნაკლოვანებებზე.

გარდაქმნის პირობებში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გენერალური მიმართულება დანაშაულობათა პროფილაქტიკაა. ეს საქალაქო განყოფილების ხელმძღვანელობამ დასახა კონკრეტული ღონისძიებები ამ კუთხით მუშაობის გააქტიურებისათვის. მუშაობის იმგვარად გარდაქმნისათვის, რომ დავძლიოთ ინერციის ძალა, საბოლოოდ განვთავისუფლდეთ უძრაობის პერიოდის ზეგავლენისაგან, რაც არც თუ იშვიათად იჩენს ხოლმე თავს როგორც მთლიანად პირადი შემადგენლობის, ასევე ცალკეული თანამშრომლების საქმიანობის პროცესშიც. ასეთი უარყოფითი გავლენა იგრძნობა გავრცელებულ დანაშაულობათა ცალკეული სახეობის მინიმუმამდე შემცირებისათვის მუშაობის ხანგრძლივი პერიოდით სწორად დაგეგმარებისა და პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტის საკითხზე. კონკრეტული მაგალითი:

ჟიათურასა და მის ზონაში ბოლო 10 წელში აღრიცხულ დანაშაულობათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყველაზე მეტად გავრცელებულ დანაშაულთა სახეებს წარმოადგენს ქონებრივი დანაშაული (პირველ რიგში მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა) და დანაშაული მიმართული ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ (უმეტესწილად ხულიგნობა). ეს სახეობები წლების განმავლობაში თითქმის არ მცირდება, განიცდის ცვალებადობას, მაგრამ ძირითადად სტაბილური ხასიათისაა. თითქოს დროც და საშუალებებიც იყო იმისათვის, რომ შეგვემუშავებინა კონკრეტული ღონისძიებები დანაშაულის ამ სახეობათა წინააღმდეგ და სისტემატური, მიზანმიმართული მუშაობის შედეგად უზრუნველგვეყო მათი მინიმუმამდე შემცირება, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ. ვფიქრობ მიზეზი არის უძრაობის პერიოდის ზეგავლენა, ინერციის ძალა და როგორც ხშირად ვამბობთ ხოლმე იმის სურვილი, რომ შევინარჩუნოთ საშუალო მდგომარეობა, „ვარეგულიროთ" დანაშაულობები (რაც მილიციის მუშაკებს არ შეუძლიათ და არც უნდა შეეძლოთ) და ვიზრუნოთ ყოველი მომავალი წლისათვის „სტაბილური მდგომარეობის" შესანარჩუნებლად. ამას ემატება ისიც, რომ იმ 200-ზე მეტი ფაქტორიდან (როგორც მეცნიერები ამტკიცებენ), რომლებიც დანაშაულობათა და მათი ხელშემწყობი მიზეზების წინააღმდეგ უნდა მოქმედებდნენ, დღეისათვის ფაქტიურად მოძრაობაშია მხოლოდ რამდენიმე (თითებზე ჩამოსათვლელი და მათ შორის პირველ რიგში მილიციის ორგანოები). ყოველ შემთხვევაში ძალიან ბევრს, მათ შორის ზოგიერთ თანამდებობის პირსაც კი მიაჩნია, რომ დანაშაულობათა „რეგულირებას" მხოლოდ მილიციის ორგანოები უნდა ასდენდნენ. ასეთი შეხედულება დაგმო სკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და ხაზგასმით მიუთითა: „ბევრმა პარტიულმა, სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ... უკანასკნელ ხანს შეანელა ყურადღება შრომით კოლექტივებში და მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილას აღმზრდელობითი, პროფილაქტიკური მუშაობისადმი, არ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა აქტიურობის გაძლიერებას".

ცხადია, ეს უდიდესი რეზერვია და შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები უნდა ცდილობდნენ ისე წარმართონ თავიანთი საქმიანობა, რომ მიაღწიონ ამ რეზერვების უთუოდ ამოქმედებას.

განყოფილების ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მდგომარეობის შესახებ" პრაქტიკულად განხორციელების საკითხს. შედეგად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ საანგარიშო პერიოდში ადგილი არ ჰქონია სოციალისტური კანონიერების დარღვევის უმნიშვნელო ფაქტსაც კი.

მიუხედავად ამისა უნდა ითქვას, რომ გარდაქმნის პროცესები განყოფილებაში ნელი ტემპით მიმდინარეობს, ისინი ჯერ კიდევ სრულად ვერ შეეხნენ განყოფილების პირადი შემადგენლობის გარკვეულ ნაწილს. არა მარტო რიგოსნების, არამედ ოფიცერთა შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილი სათანადოდ არ ზრუნავს იდეურ-პოლიტიკური და პროფესიონალური ცოდნის დონის ამაღლებისათვის, პრობლემად რჩება ცალკეული

(დასასრული მე-2 გვ-ზე).

## რესპუბლიკის აქტივის შეხვედრა სსრკ სახალხო დეპუტატობის კანდიდატთან

პარტიის ყველა გეგმა ექვემდებარება ხალხის ინტერესებს, ხაზგასმულია სკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში პარტიას, საბჭოთა ხალხს. მათ შესრულებაზე დამოკიდებულია, როგორ ჩამოყალიბდება ცხოვრება, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე და ყველაფერი ეს თვით ხალხის ხელშია, რომლის შრომა, ოსტატობა, სოციალური აქტიურობა და საზოგადოებრივი პოზიცია წარმატების უმნიშვნელოვანესი საწინდარია.

ეს აზრი, რომელიც საფუძვლად უდევს პარტიის წინასაარჩევნო პროგრამას, განსაზღვრავს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის არჩევნების ახლანდელი საარჩევნო კამპანიის არსსა და შინაარსს. ხალხი თავისი ბედის გამგებელია, იგი კი მტკიცედ უკავშირდება გარდაქმნას, რომელიც უნდა დავიცვათ და რაც მთავარია ენერგიულად და თანამიმდევრულად წავწიოთ წინ.

მომავალი მუშაობის მიზნებისა და მასშტაბების მკაფიო გაგებით იყო გამსჭვალული 27 თებერვალს თბილისში გამართული რესპუბლიკის პარტიული აქტივის შეხვედრა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან, სკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანთან ა. ნ. იაკოვლევთან, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში ჩვენს რესპუბლიკაში იმყოფებოდა ამომრჩევლებთან შესახვედრად. შეხვედრა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა. სიტყვით გამოვიდა ამხანაგი ა. ნ. იაკოვლევი. იმავე დღეს ამხანაგი ა. ნ. იაკოვლევი თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა.

მასალები ამხანაგ ა. ნ. იაკოვლევის ჩვენს რესპუბლიკაში ყოფნის შესახებ გამოქვეყნდა პრესაში.



## В КОЛЛЕГИИ МВД ГССР

27 ФЕВРАЛЯ состоялось очередное заседание коллегии МВД ГССР, на котором с информацией «О недостатках в работе по искоренению пьянства среди личного состава органов и подразделений внутренних дел республики» выступил заместитель начальника политического отдела МВД ГССР полковник милиции Л. Горгодзе.

О состоянии профилактической и оперативно-розыскной работы по предупреждению и раскрытию умышленных тяжких телесных повреждений и мерах по ее усилению в свете требований соответствующего приказа МВД СССР членов коллегии проинформировал начальник УУР МВД ГССР полковник Т. Варданашвили.

На заседании коллегии министерства были заслушаны информации тов. Т. Варданашвили и начальника УООП МВД ГССР полковника внутренней службы Г. Бичашвили об организации в соответствии с приказом МВД СССР административного надзора в отношении ранее судимых и лиц, вновь вернувшихся из мест лишения свободы, и начальника СУ МВД ГССР полковника внутренней службы М. Джапаридзе о соблюдении социалистической законности сотрудниками следственных подразделений МВД ГССР при задержании, арестах и привлечении граждан к уголовной ответственности за 1988 год.

Члены коллегии министерства заслушали также информацию начальника УПО МВД ГССР полковника внутренней службы Д. Сурмава о неудовлетворительном противопожарном состоянии объектов УИД МВД ГССР.

## სხვადასხვა ინფორმაცია

25 თებერვალს რესპუბლიკის მშრომელებმა საზეიმოდ აღნიშნეს საბჭოთა საქართველოს ბრძოლისა და აღმშენებლობის 68 წლისთავი.

ამავე დღეს არაფორმალურმა გაერთიანებებმა კვლავ მოაწყვეს უსანქციო მიტინგი, რომელზეც ცალმხრივად წარმოსახავდნენ ისტორიულ სინამდვილეს.

* * *

26 თებერვალს ტელევიზიამ აჩვენა ვიდეოფირი არაფორმალური გაერთიანებების ლიდერების შესახებ — „სინდისის სასამართლო", გადაცემა მიდიოდა ყოველგვარი კომენტარის გარეშე. ვიდეოფირი განმეორებით აჩვენეს 28 თებერვალს. აღნიშნული გადაცემის შემდეგ შემოვიდა მრავალი წერილი, სადაც ავტორები გამოთქვამდნენ თავიანთ აღშფოთებას არაფორმალური გაერთიანების წევრთა ქცევაზე.

ЗАСЕДАНИЕ СЕКЦИИ ИОМ ПРИ МВД ГССР

## ЦЕЛЬ—ВОСПИТАНИЕ ТРУДОМ

СОКРАЩЕНИЕ правонарушений среди подростков является одним из основных направлений работы органов внутренних дел республики. Действенным средством профилактики здесь может стать создание опытной специализированной школы (предлагаемое название — «Синатле») для трудновоспитуемых детей — таково было мнение участников состоявшегося на днях очередного заседания секции Института общественного мнения при МВД ГССР по проблемам борьбы с правонарушениями среди несовершеннолетних и студенческой молодежи.

Заседание открыл руководитель секции, заведующий кафедрой Института усовершенствования учителей Минпроса ГССР Г. Меликидзе.

Выступившие затем на совещании ректор ИОМ член коллегии МВД ГССР профессор М. Дарчия, доцент Института усовершенствования учителей Л. Мнатобишвили, заведующий кафедрой института физкультуры профессор Г. Двали, заведующий кафедрой педагогического института им. Пушкина М. Колбая, директор 161-й тбилисской средней школы Л. Мебуришвили, заведующий кафедрой медицинского института Д. Гегешидзе, ветеран органов внутренних дел республики майор в отставке Д. Катукия, начальник учреждения УИД МВД ГССР подполковник внутренней службы Г. Хухия и начальник отдела УУР МВД ГССР капитан милиции А. Симонишвили детально проанализи-

(Окончание на 2-й стр.).

# დავიმსახუროთ ხალხის ნდობა და სიყვარული

(დასასრული).

მათგანის აზროვნების გარდაქმნისა და გულგრილობის ელემენტების დაძლევის საკითხი. ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ ცალკეულ თანამშრომელთა მხრიდან უტაქტობის გამოჩენის ფაქტების სრულად აღმოფხვრას მოქალაქეებისადმი და მათდამი ვისაც კონფლიქტი მოსვლია კანონთან. ყოველივე ზემოთ აღნიშნული და სხვა სახის ნაკლოვანებები მნიშვნელოვნად უშლის ხელს არა მარტო მიმდინარე ოპერატიულ-სამსახურებრივი საქმიანობის, არამედ მილიციის ავტორიტეტის ამაღლებასაც მოსახლეობის თვალში.

რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ დავძლიოთ ნაკლოვანებები და უკეთ ვიმუშაოთ მომავალში?

— პირველ რიგში ვცდილობთ ინდივიდუალურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებით თითოეულს ჩავუნერგოთ იმის რწმენა, რომ საჭიროა გარდაქმნის მიმდინარე პროცესების სწორად აღქმა, რომ თითოეულ მათგანზე დიდად არის დამოკიდებული ქალაქში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საქმე, რომ მხოლოდ და მხოლოდ თითოეულ თანამშრომელზეა დამოკიდებული განყოფილების პირადი შემადგენლობის ავტორიტეტის ამაღლება.

— ჩვენს ხელთ არსებულ ყველა საშუალებებს ვიყენებთ ოფიცერთა პროფესიული დაოსტატებისათვის. ამისათვის მიმდინარეობს სწავლება მტკიცედ დაცული განრიგის მიხედვით.

— კადრების შერჩევის, დაწინაურების, გადაადგილების და წახალისების ფორმების გამოყენებას ვახდენთ დემოკრატიულობის ვითარებაში და კოლეგიურობის სრული დაცვით.

— საკონტროლო სისტემის გაძლიერებით ვცდილობთ გამოვრიცხოთ თანამშრომელთა მხრიდან სოციალისტური კანონიერების დარღვევის ფაქტები. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მოსახლეობასთან კავშირის ურთიერთგანმტკიცებას.

ერთი სიტყვით დღეს ვართ იმ დონეზე, რომ გარდაქმნის აუცილებლობას ვხედავთ კარგად, ვხედავთ რეზერვებს, ნაკლოვანებები და პრობლემები გამოკვეთილია. ახლა საჭიროა პირადი შემადგენლობის მობილიზება, თავდაუზოგავი შრომა, რათა პრაქტიკულად განვახორციელოთ დღევანდელობის მოთხოვნები და ვუზრუნველყოთ სიტყვისა და საქმის ერთიანობა, დავიმსახუროთ ხალხის ნდობა და სიყვარული.

რ. ასანიძე,
ჭიათურის შს საქალაქო განყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი.

# მკაცრად დავიცვათ ჩაწერის წესები და საპასპორტო რეჟიმი

**საქართველოს** კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი: „მოქალაქეთა ჩაწერის დადგენილი წესების უხეშ დარღვევათა შესახებ, რომლებიც დაუშვეს საქალაქო და კალინინის რაიონის საპასპორტო სამსახურების განყოფილებათა ყოფილმა ხელმძღვანელებმა სკკპ წევრებმა რ. კობახიძემ და დ. ვაშაკიძემ“.

აღინიშნა, რომ რაისაბჭოების აღმასკომებს, საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს საპასპორტო სამსახურებს ჯერ კიდევ აქვთ სერიოზული დარღვევები მოქალაქეთა მოძრაობის აღრიცხვის, მოსახლეობის მექანიკური ზრდის შეზღუდვის საქმეში, შეუწყნარებლად უგულებელყოფენ ჩაწერის დადგენილ წესებსა და საპასპორტო რეჟიმის დაცვას.

მაგალითად, პარტიის კალინინის რაიკომში ახლახან მიღებული მოქალაქის მ. ჩიხლაძის განცხადების შესწავლის შედეგად გამოვლინდა თბილისში კალანდაძის ქუჩის № 22-ში 1984 წელს მოქალაქე დ. ვაშაკიძის ჩაწერის უხეში დარღვევა. საბინაო კანონმდებლობისა და სანიტარული ნორმების დარღვევით იგი თავის ვაჟთან ერთად ჩაწერეს შორეულ ნათესავთან მოქალაქე ა. მიქელაძესთან, რომელსაც ორ ბავშვთან ერთად 37 კვადრატული მეტრი ფართობის ერთოთახიანი ბინა უჭირავს. ამასთან დ. ვაშაკიძე სოფელ დიდ ჯიხაიშში სამუსიკო სკოლის დირექტორია და არ შეუწყვეტია შრომითი საქმიანობა, სამ ბავშვთან ერთად ცხოვრობდა და ცხოვრობს სამტრედიაში. 1969 წელს მან ფიქციურად გააფორმა გაყრა თავის ქმართან მოქალაქე ლ. ახობაძესთან — სამტრედიის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარესთან, რომელიც აგრეთვე მუდმივად ცხოვრობს სამტრედიაში. ამ პროცედურის ფიქციურობას ადასტურებს ისიც, რომ გაყრილ ცოლ-ქმარს მესამე ბავშვი 1978 წელს შეეძინათ. კალანდაძის ქუჩის 22-ში მცხოვრები მეზობლის დამოწმებით, ა. მიქელაძე ვაჟიშვილებთან ერთად პრაქტიკულად ჩაწერის ადგილზე არ ცხოვრობს, ხოლო ცოლ-ქმარი დ. ვაშაკიძე და ლ. ახობაძე იშვიათად ჩამოდიან თბილისში.

თბილისში დ. ვაშაკიძის უკანონოდ ჩაწერა იმის შედეგია, რომ სკკპ წევრმა, საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს საპასპორტო განყოფილების ყოფილმა უფროსმა რ. კობახიძემ ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი მდგომარეობა, გასცა უკანონო მითითება თბილისში დ. ვაშაკიძის შვილთან ერთად ჩაწერის თაობაზე, ამასთან სკკპ წევრმა, კალინინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საპასპორტო ქვეგანყოფილების ყოფილმა უფროსმა დ. ვაშაკიძემ უპრინციპობა გამოიჩინა, ჯეროვნად არ შეასრულა პირდაპირი სამსახურებრივი მოვალეობა.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელობას მიეცა მითითება გაამკაცროს მომკითხველობა სამსახურების ხელმძღვანელობისადმი, რომლებიც პასუხს აგებენ თბილისში ჩაწერისა და საპასპორტო რეჟიმის დაცვაზე. გააძლიეროს პროფილაქტიკური მუშაობა ამ მიმართულებით.

პარტიის საქარხნო რაიკომს დაევალა განიხილოს სკკპ წევრის, კალინინის რაიონის საპასპორტო ქვეგანყოფილების ყოფილი უფროსის დ. ვაშაკიძის პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი მისი გამოჯანმრთელების შემდეგ, რომელმაც უპრინციპობა გამოიჩინა და სათანადოდ არ შეასრულა პირდაპირი სამსახურებრივი მოვალეობანი კალანდაძის ქუჩის 22-ში დ. ვაშაკიძის ჩაწერისას.

გადაწყდა ეცნობოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომს, სკკპ წევრის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს საპასპორტო განყოფილების ყოფილი უფროსის რ. კობახიძის არასწორ ქმედებათა შესახებ, რომელმაც გასცა დაუსაბუთებელი განკარგულება კალანდაძის ქუჩა 22-ში დ. ვაშაკიძის ჩაწერის თაობაზე.

## ЦЕЛЬ— ВОСПИТАНИЕ ТРУДОМ

(ОКОНЧАНИЕ)

ровали различные правовые, научные, морально - нравственные и организационные аспекты создания специализированной школы. Целью ее создания является обеспечение эффективного контроля за состоящими на учете у милиции трудновоспитуемыми подростками, привлечение их к общественно - полезному труду и творческой деятельности.

Участники заседания отметили, что с учетом специфики контингента учащихся, комиссии, в состав которой войдут психологи, социологи, архитекторы, работники просвещения и МВД, другие специалисты, следует разработать научно - обоснованную концепцию школы, тщательно продумать вопросы, связанные с ее материально-техническим обеспечением. Необходимо создание оснащенных современной техникой классов и учебных кабинетов, в которых подростки могли бы заниматься трудом и творческой деятельностью, наиболее отвечающими их способностям и наклонностям, условий для занятий спортом, зон отдыха и т. д.

Все участники заседания отметили особую важность привлечения к работе с подростками в данной школе опытного преподавательского состава, воспитателей, способных найти контакт с детьми, вести работу творчески, с учетом индивидуальности каждого подростка. При создании школы необходимо тесное взаимодействие НИИ педагогических наук, ЦК ЛКСМ Грузии, общественности.

Выступивший на заседании секции министр внутренних дел Грузии генерал-лейтенант внутренней службы Ш. Горгодзе, отметив полную поддержку руководства министерства новаторской идеи создания школы, подчеркнул, что ее успешная реализация послужит благородной цели приобщения подростков к труду, воспитания их достойными членами общества.

## განვიხილავთ კანონპროექტს



**საქართველოს** სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ტარდება პარტიული კრებები, რომლებზეც განიხილება საკავშირო კანონპროექტი პროდუქციის ხარისხისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ.

28 თებერვალს ქ. თბილისის კალინინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში ჩატარდა ღია პარტიული კრება. აღნიშნულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში, მილიციის კაპიტანი გ. მინდიკაური.

კრებაზე აღინიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგი სამსახურების — განსაკუთრებით სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების როლი ამ დადგენილების მოთხოვნათა ცხოვრებაში განხორციელების საქმეში დიდია.

* * *

**სურათზე:** პროექტის განხილვის დროს.

ბ. მგალობლიშვილის ფოტო.

ОБСУЖДАЕМ ПРОБЛЕМУ

## РЕШАТЬ НАБОЛЕВШИЕ ВОПРОСЫ

**В ОКТЯБРЕ** текущего года в очередной раз МВД Абхазской АССР подготовлено и послано в МВД ГССР письмо об организационно-штатной структуре МВД Абхазской АССР. Ответ поступил быстро и оперативно— до конца месяца. Срок дачи ответа можно было еще до минимума сократить, так как письмо не было рассмотрено.

Чтобы лучше понять, что нас вынудило обратиться в редакцию, считаем необходимым процитировать некоторые места этого небольшого текста ответа. Так, например, «...управление кадров рассмотрело Вашу просьбу... Согласно постановлению ЦК КПСС и СМ СССР по вопросу сокращения и удешевления управленческого персонала, численность центрального аппарата министерства увеличению не подлежит».

А сейчас главное, о чем речь идет в письме. Забегая вперед, следует упрекнуть составителей письма об изменениях организационно-штатной структуры МВД Абхазской АССР в том, что убедительно обоснованные требования МВД автономной республики получились прошением. Понятно, что не положено добавлять дополнительные штатные единицы в управленческий аппарат, когда речь идет о его сокращении и удешевлении в соответствии с совершенно справедливым постановлением ЦК КПСС и СМ СССР.

Но ведь речь идет и об увеличении числа милиционеров по охране административного здания МВД (что так необходимо, особенно в данной ситуации), введении штатной единицы кладовщика в вещевом складе ХОЗО, о введении при наличии 340 автотранспортных средств в системе автохозяйства МВД и центрального гаража в ХОЗО МВД Абхазской АССР штатной численности специалистов, как в гражданских автохозяйствах. Разве речь идет здесь об увеличении управленческого аппарата и нарушениях постановления ЦК КПСС и СМ СССР? Кем будут «управлять» милиционеры, кладовщики, техники, диспетчеры, механики или начальник автохозяйства, он же начальник гаража? А сокращение и удешевление службы ХОЗО здесь не подходит, она и так была сокращена до выхода указанного постановления.

Действительно, не парадоксально ли наличие отделения капитального строительства в лице единственного человека — его начальника с окладом 150 рублей. Разве не разумно разобраться в период перестройки, почему ФПО МВД Абхазской АССР в составе 15 человек (из них 13 вольнонаемных) является отделом с окладом его начальника 210 рублей, а хозяйственное подразделение в составе 43 человек (из них 15 человек аттестованных и 28 человек вольнонаемного состава) преобразовано было из отдела в отделение (с окладом начальника 140 рублей).

Может быть обостренное чувство моей принадлежности к ХОЗО вынудило меня сказать критические замечания об этом на отчетно-выборном партийном собрании МВД Абхазской АССР в октябре прошлого года в присутствии члена бюро Абхазского обкома КП Грузии, однако они остались неуслышанными.

В этом же выступлении и в рапорте министру я приводил одним из примеров требование о сокращении штатной единицы заместителя командира подразделения ППС Сухумского ГОВД по технике, где имеется 4 автомашины и 6 мотоциклов, и передаче нам для организации «несуществующего автохозяйства» ХОЗО МВД Абхазской АССР, где численность автомототранспорта достигает, как выше указано, 340 единиц. Отказывают. Нельзя передавать должности из периферии управленческому аппарату! Такая же должность имеется в СОД ГАИ МВД Абхазской АССР. Где же они больше нужны и полезны?

Лично мне кажется, что если наболевшие вопросы организационно-штатной работы автономной республики поставить перед руководством МВД ГССР и МВД СССР, нас поймут правильно. А пока ответ МВД ГССР на письмо с резолюциями тов. А. Антелава, Ю. Кобахия, К. Кейсяна лежит под сукном.

**П. ЛОГУА,**
**подполковник милиции, начальник ХОЗО МВД Абхазкой АССР, член парткома министерства.**

**ОТ РЕДАКЦИИ. Такое вот письмо получено было на днях редакцией нашей газеты. Мы не будем сейчас комментировать его содержание, отметим лишь, что в условиях перестройки, расширения гласности и демократии вполне понятно желание сотрудника ОВД открыто, с использованием печати решать наболевшие вопросы. В ближайших номерах нашей газеты мы предоставим возможность высказать свои соображения по поводу приведенных в письме фактов сотрудникам заинтересованных служб.**

ДНД — 30 ЛЕТ

# НА СТРАЖЕ ПРАВОПОРЯДКА— НАРОДНЫЕ ДРУЖИННИКИ

**2 марта исполнилось ровно тридцать лет со дня принятия ЦК КПСС и Советом Министров СССР Постановления «Об участии трудящихся в охране общественного порядка в стране» (о добровольных народных дружинах). Вот уже три десятилетия народные дружинники в тесном взаимодействии с органами внутренних дел, другими общественными формированиями ведут активную борьбу с преступностью, вносят свой весомый вклад в укрепление правопорядка и социалистической законности.**

**ПРОФИЛАКТИКА** и предупреждение правонарушений являются на современном этапе для органов внутренних дел республики главными направлениями в борьбе с преступностью. При решении задач борьбы с тунеядством, пьянством, самогоноварением, наркоманией, извлечением нетрудовых доходов и другими негативными



**НА СНИМКЕ: члены ДНД Кировского района г. Тбилиси.**

явлениями особое внимание уделяется широкому вовлечению в предупредительно - профилактическую работу формирований общественности, в том числе членов добровольных народных дружин.

В настоящее время на территории республики в охране общественного порядка участвуют 11.380 ДНД, которые объединяют более 167 тысяч народных дружинников, в том числе почти 100 тысяч — в сельской местности.

Только в течение прошлого года с участием народных дружинников было раскрыто 48 преступлений, задержано и доставлено 6.655 правонарушителей, в том числе 1.063 — за нарушение антиалкогольного законодательства, составлено 2.719 административных протоколов на лиц, задержанных членами ДНД.

Особую активность, наступательность в борьбе с различными видами правонарушений проявили в прошлом году народные дружины микрорайона им. Ф. Мосулишвили Глданского района г. Тбилиси и ЖЭУ 99 Заводского района столицы республики, Гардабанского совета н/д, Потийского судоремонтного завода им. С. Орджоникидзе, Шулаверского сельсовета Марнеульского района, Ахалкалакского совета н/д и ряд других.

Однако, несмотря, на достигнутые определенные положительные результаты, в деятельности многих добровольных народных дружин имеются серьезные недостатки и упущения. Так, в прошлом году, более чем в тридцати городах и районах, в том числе, Ткибули, Чиатура, Адигени, Душети, Мцхета, Сагареджо, Сигнахи, Хашури, Цулукидзе и других народные дружинники не участвовали в предупреждении преступлений по линии УР и БХСС. В Лагодехском, Мцхетском, Сагареджойском, Сигнахском районах с участием дружинников не было выявлено ни одного правонарушения, в Лентехском районе ДНД вообще бездействует.

Из-за отсутствия должного контроля со стороны исполкомов продолжают иметь место факты невыхода на дежурства в Хашури, Мцхета, Рустави, Зестафони. Не единичны случаи, когда в члены ДНД принимаются лица, которые по своим физическим, а порой и морально-деловым качествам не могут обеспечить предупреждение и пресечение правонарушений.

В ряде городов и районов республики вся деятельность народных дружинников заключается в патрулировании центральных улиц населенных пунктов, а от проведения индивидуально - профилактических мероприятий с лицами, со стороны которых можно ожидать совершения правонарушений, они фактически самоустранились.

— В целях активизации и совершенствования деятельности ДНД, других общественных формирований трудящихся, представляется целесообразным в городах и районах республики, где функционируют общественные пункты охраны порядка, упразднить штабы ДНД, закрепив имеющиеся добровольные народные дружины за ОПОП, что позволит шире использовать их возможности в индивидуально - воспитательной работе с лицами, нуждающимися в профилактическом воздействии, — говорит начальник УООП МВД ГССР полковник внутренней службы Г. Бичашвили. — Необходимо также, с целью материального стимулирования граждан, принимающих активное участие в работе добровольных народных дружин, других общественных формирований, поощрять денежными премиями, бесплатными и льготными путевками в дома отдыха и санатории.

**А. ЛЬВОВ.**

## მადლობის სტრიქონები

**გორის** შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ადმინისტრაციამ, (უფროსი უ. მგელაძე) მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარა მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის, რაც განსაკუთრებით შეინიშნება რაიონის ავტოინსპექციის მუშაობაში, რომელსაც ამ ერთი წლის წინათ სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა მუშაკი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი გ. თუშიშვილი. მან მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარა, როგორც მუშაკი, მილიციის [illegible], რომელიც ყოველგვარ ზომებს ღებულობს ახალგაზრდა მუშაკების აღზრდის საქმეში. ყოველივე ამან განაპირობა სახავტოინსპექციის ქვეგანყოფილების მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესება (1988 წელს ავტოინსპექციის არცერთი მუშაკი დასჯილი არ ყოფილა). მეგობრული სიტუაციის შექმნა, ერთ-ერთი საწინდარია გარდაქმნის და მისი წარმატების საქმეში.

## გარდაქმნა მოქმედებაში

პირადი შემადგენლობის სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად, ასევე ავტოინსპექციაში მომსვლელთა კულტურული მომსახურების საქმეში. ქვეგანყოფილება გადავიდა ახალ, კეთილმოწყობილ შენობაში, ამან კი ხელი შეუწყო პრაქტიკული ღონისძიების ფართო მაშტაბით გაშლას. მიმსვლელთა მისაღები ადგილები გაფორმებულია თვალსაჩინოებებით. ქვეგანყოფილება პერიოდულად უშვებს სატირულ-იუმორისტულ კედლის გაზეთს. ამ უკანასკნელ პერიოდში ერთი სიახლეც დაინერგა. ქვეგანყოფილების კეთილმოწყობილ ლენინის ოთახში სისტემატიურად ტარდება კინოსეანსები, სადაც უჩვენებენ კინოჟურნალებს მოძრაობის უსაფრთხოებაზე, რაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე და დადებითად მოქმედებს მოძრაობის დამრღვევი მძღოლების აღზრდა-გამოსწორებაზე.

ავტოინსპექციის მუშაობას კურირებას უწევს განყოფილების უფროსის მოადგილე, გამოცდილი

უკანასკნელ ხანს ქვეგანყოფილებაში მოვიდნენ ახალი მუშაკები, რომლებსაც წარსულში ავტოინსექციაში არ უმუშავიათ, ესენია: ადმინისტრაციული პრაქტიკის ინსპექტორი, იურისტი დ. კეკელაშვილი, საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორები: გ. ქარქუზაშვილი, ზ. ვაზაგაშვილი. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დაკისრებულ მოვალეობას კარგად ართმევენ თავს. უნდა აღინიშნოს, რომ კეკელაშვილმა თითქმის მთლიანად ახლებურად გარდაქმნა ოპერატიული აღრიცხვიანობა და მომსვლელი მოქალაქეების მიღებას ყოველთვის გულისხმიერად აწარმოებს.

მისასალმებელია და მადლობას იმსახურებს გორის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ავტოინსპექციის ქვეგანყოფილების მუშაობა.

**შ. ბენბიური,**
**ომისა და შრომის ვეტერანი, მილიციის თადარიგის პოლკოვნიკი.**
**ქ. გორი**

## გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად

**1989** წლის 15 იანვარს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა წერილი, „ბრაკონიერმა ირემი მოკლა", სადაც წერილის ავტორი იტყობინებოდა, რომ ანალოგიური შემთხვევა ბორჯომის ნაკრძალში ექვსი თვის წინათ მოხდა, მაგრამ არაერთი მოთხოვნის მიუხედავად ბრაკონიერთა დასჯის შესახებ ბორჯომის შს რაიგანყოფილებას არ შეუტყობინებია.

ჩვენი გაზეთიც გამოეხმაურა ამ წერილს და სთხოვა ბორჯომის შს რაიგანყოფილების ხელმძღვანელობას აეხსნა რითი იყო ეს ფაქტი გამოწვეული.

რედაქციამ მიიღო შს რაიგანყოფილების უფროსის, მილიციის მაიორის გ. გურგენიძის წერილი, სადაც ვკითხულობთ, რომ **პასუხი, თუ რა ღონისძიება გატარდა ბრაკონიერთა მიმართ გაეგზავნა ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობას და რაიონის პროკურორს. წერილი № 39 (19-2976 27) XII 88.**

პროკურატურამ პასუხი დროულად მიიღო, ხოლო სხვა ზემოთ მოხსენებულ ორგანიზაციებში ანალოგიური არ შესულა, ამიტომაც 15 იანვრის სტატიაში მოყვანილმა ფაქტმა მკითხველში აზრთა გაორება გამოიწვია, რაც არ ემთხვევა შს განყოფილების უფროსის მიერ გამოგზავნილ დასაბუთებულ პასუხს.

რათა არ მოხდეს მორიგი გაუგებრობა განყოფილების ხელმძღვანელობას ვთხოვთ კიდევ ერთხელ გაუგზავნონ შეტყობინება ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების მთავარ სამმართველოს.

სწრაფად, ოპერატიულად

## ასე დასრულდა...

**ახალგაზრდას**, რომელსაც ჯერ ოცი წელიც არ შესრულებია და რომლის შესახებ ამ წერილში გვექნება საუბარი, საკმაოდ ბნელი ბიოგრაფია აქვს. იგი ცხოვრობს კრასნოდარის მხარის ბირიუხოვეცკის რაიონის სტანიცა პერეიასლავსკში.

...ჯერ კიდევ 16 წლისაც არ იყო ვლადიმერ კუსტოვი, როცა ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა გატაცებისათვის დააკავეს და გაასამართლეს კიდეც. ამ დანაშაულისათვის ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მაგრამ არასრულწლოვანობის გამო ეს სასჯელი ერთი წლით გადაუვადეს. ერთი წელიც არ იყო გასული, რომ ქურდობისათვის ორი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ვ. კუსტოვმა სასჯელი გასული წლის თებერვალში მოიხადა. ყველას ეგონა ხელმრუდობაში საკმაოდ მწარე გაკვეთილების მიღების შემდეგ იგი კეთილსინდისიერ შრომაში ჩაებმებოდა. სულ ხუთი თვე იმუშავა კოლმეურნეობაში და... აეკვიატა სურვილი ცოტა ხნით საქართველოში ემოგზაურა.

ვ. კუსტოვმა მარტოდ მოგზაურობა არ ინება და თანასოფლელი სერგეი ივანოვი დაითანხმა ერთად გაეტარებინათ დრო. ისინი სადგურ ბირიუხოვეცკში შეხვდნენ ერთმანეთს. ვიდრე ივანოვი მატარებლის ბილეთებს აიღებდა, კუსტოვმა ისიც კი „მოახერხა", რომ შეიძინა ნარკოტიკული ნივთიერება — 7,64 გრამი ანაშა, 4,75 გრამი ოპიუმი და იგი ივანოვის ხელჩანთაში შეინახა. მეგობრები ჩასხდნენ კიევ-თბილისის მატარებელში და საქართველოში გამოემგზავრნენ...

ხობი-ცხაკაიას გადასარბენზე, სადგურ სამტრედიის შს სახაზო განყოფილების მუშაკებმა კუსტოვს ლეიბის ქვეშ უნახეს ნარკოტიკებით სავსე ხელჩანთა და სამედიცინო შპრიცი.

დაკითხვისას მათ აღიარეს, რომ ნარკოტიკული შხამი ქ. ფოთში მიჰქონდათ გასაყიდად. თუმცა მალე კუსტოვმა გადათქვა თავისი ჩვენება და საკუთარ თავზე აიღო დანაშაული. ქუთაისის სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში სამედიცინო შემოწმებამ სულ სხვა დაადასტურა — ორივენი ნარკოტიკულ ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ.

აღნიშნულ საქმეზე ვ. კუსტოვის საცხოვრებელ ადგილზე ოპერატიული ღონისძიებების ჩასატარებლად ჩავიდნენ შს სახაზო განყოფილების მუშაკები ვ. კვიციაძე და ზ. გიორგაძე, რომლებმაც ვ. კუსტოვის სახლის ჩხრეკის დროს ღუმელიდან ამოიღეს გადამალული ანაშა...

ასე დასრულდა კრასნოდარელი ახალგაზრდების მოგზაურობა.

**ა. რაზმაძე,**
**სადგურ სამტრედიის შს სახაზო განყოფილების უფროსის მოადგილე, მილიციის მაიორი.**



## ბანქოს სიყვარულით

**გასული** წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში ბორჯომის № 83 მექანიზებული კოლონის ტერიტორიაზე მილიციის მუშაკებმა ბანქოს თამაშის დროს დააკავეს ამ საწარმოს მუშები: რ. მამლიკიძე, ვ. არუთინოვი, უმუშევარი ვ. კორნიევი და რამოდენიმეჯერ ნასამართლევი ზ. კიკნაძე. აზარტულ თამაშთა მოყვარულებს ჩამოართვეს ბანქო და ამოიღეს 1700 მანეთი.

**სურათზე:** ვ. არუთინოვი და ზ. კიკნაძე „სათამაშო მაგიდასთან".

**ბ. ბურამიშვილის** ფოტო.

МИЛИЦЕЙСКИЕ БУДНИ

## ПРЕСТУПНИК ЗАДЕРЖАН

**ЭТО ПРОИЗОШЛО 30 октября 1988 года на перегоне Бзыбь-Мюссера в электропоезде Сочи — Сухуми. У гр. О. Лавринец, проживающего в г. Житомире, были похищены кожаный пиджак, кожаное пальто, наручные часы, другие носильные вещи, деньги в сумме 300 рублей, а всего причиненный материальный ущерб составил 1.352 рубля.**

**По данному факту следователем ЛОВД на станции Гагра капитаном милиции М. Есартия 8 декабря 1988 года было возбуждено уголовное дело.**

**В результате проведенных оперативно-следственных мероприятий заместителем начальника ЛОВД станции Гагра капитаном милиции Б. Шерозия, следователем М. Есартия, старшиной милиции Т. Гоголадзе, инспектором ИДН старшим лейтенантом милиции И. Начкебия преступник был установлен и задержан. У него были изъяты похищенные вещи. Во время проведения очередного рейда по электропоездам 9 декабря 1988 года потерпевший О. Лавринец опознал гражданина, который следовал с ним в электропоезде. Им оказался ранее судимый за кражу, временно не работающий А. Ш., 1965 года рождения, проживающий в г. Кировакане. Он полностью признал себя виновным в инкриминируемом ему деянии.**

**И. ГАСВИАНИ,**
**старший лейтенант милиции заместитель начальника ЛОВД на ст. Гагра по политчасти.**

# შეხვედრა სკოლაში

**შინაგან** საქმეთა სამინისტროს ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის. კულტურის სახლისა და მცხეთის შს რაიგანყოფილების მუშაკების თაოსნობით მცხეთის № 1 საშუალო სკოლაში მოეწყო შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა არასრულწლოვანთა შორის სისხლის სამართლის დანაშაულობათა ჩადენის მიზეზებსა და მისი პროფილაქტიკის საკითხებს.

შეხვედრა გახსნა რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ქვეგანყოფილების უფროსმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა პ. კეკელაურმა. გასულ წელს ინსპექციის მიერ გაწეულ მუშაობაზე ილაპარაკა მილიციის ლეიტენანტმა ც. ლუაშვილმა. მოსწავლეებს და სტუმრებს შორის გაიმართა საინტერესო საუბარი.

დასასრულ ჩატარდა კონცერტი.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს არასრულწლოვანთა საქმეების ზონალური ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი ნ. წიქარიძე, რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში, მილიციის მაიორი გ. ჭიჭინაძე.

**გ. მგალობლიშვილი.**



**სურათზე:** შეხვედრის დროს.

ავტორის ფოტო.

# Соревнуются смелые и отважные



**ПОДВЕДЕНЫ** итоги зимнего чемпионата МВД Абхазской АССР по пожарно-прикладному спорту. В нем приняли участие спортсмены Абхазской автономной республики, призеры чемпионатов Абхазии и Грузии, кандидаты и мастера спорта СССР по пожарно - прикладному спорту.

После упорной, острой и напряженной борьбы в командном зачете уверенную победу одержали спортсмены отдела пожарной охраны МВД СССР из поселка Агудзера. Вторыми были молодые спортсмены Гульрипши, третье призовое место заняли выступившие ниже своих возможностей спортсмены г. Сухуми.

Интересная борьба разыгралась в личном первенстве по всем упражнениям. В преодолении стометровой полосы препятствий лучшим был представитель ОПО-15 кандидат в мастера спорта СССР Г. Чхеидзе. На втором месте — А. Манджавидзе, кандидат в мастера спорта СССР из Гульрипши, на третьем — Г. Дзидзигури из ОПО-15.

Большой интерес среди многочисленных зрителей вызвало упражнение по подъему по штурмовой лестнице в окно четвертого этажа учебной башни. В этом интересном состязании первенство и симпатии любителей спорта завоевал молодой перспективный спортсмен, кандидат в мастера спорта СССР Б. Квеквескири из Гульрипши, на втором месте — Г. Чхеидзе из ОПО-15, на третьем — мастер спорта из Сухуми М. Нерсесян.

Напряженная борьба разыгралась в упражнении по подъему по подвижной лестнице в окно третьего этажа учебной башни. Здесь победителями стали Г. Чхеидзе и А. Пилиев — оба из ОПО-15. На второе место вышла пара А. Манджавидзе и З. Джалагония из Гульрипши, на третье — спортсмены из Сухуми А. Ичмелян и В. Тертерян, оба перворазрядники.

Победители чемпионата, занявшие призовые места в командном и в личном зачете, награждены дипломами соответствующих степеней, а сборная команда ОПО-15 — переходящим кубком МВД Абхазской АССР.

По итогам соревнования для участия в чемпионате МВД ГССР сформирована сборная команда МВД Абхазской АССР. Тренером этой сборной является Р. Мурусидзе, ветеран пожарно - прикладного спорта.

**И. КОБАЛИЯ,**
**судья первой категории.**

* * *

**НА СНИМКАХ:** состязания по преодолению стометровой полосы препятствий и подъему по штурмовой лестнице в окно 4-го этажа учебной башни.

(Фото автора).



# სტუმრადაა ჭადრაკის დედოფალი

**მსოფლიოში** სახელგანთქმულ ქართველ მოჭადრაკე ქალებს განსაკუთრებით იზიდავთ მწვანე სამოსელში ჩაფლული, კოპწია კურორტი და წყალტუბოელთა გულღია მასპინძლობა.

მათ სტუმრობასაც თან ახლავს განუმეორებელი ხიბლი, სტუმარმასპინძელთა ნამდვილ ზეიმად რომ იქცევა ხოლმე.

იმ დღესაც მრავალმა თაყვანისმცემელმა დამსვენებელმა მოიყარა თავი სანატორიუმ „აიაში" (მთავარი ექიმი, შ/ს მაიორი გ. იოსელიანი), სადაც შეხვედრა მოუწყვეს ჭადრაკის დედოფალს მაია ჩიბურდანიძეს.

მსოფლიო ჩემპიონს შინაგან საქმეთა სამინისტროს სანატორიუმის კოლექტივის სახელით მიესალმა და წარმატებები, პირადი ბედნიერება უსურვა მთავარი ექიმის მოადგილემ საერთო საკითხებში შ/ს კაპიტანმა მ. ფორჩხიძემ.

მაია ჩიბურდანიძის სპორტულ ცხოვრებაზე, მის მოქალაქეობრივ საქმიანობაზე ისაუბრა სსრ კავშირის სპორტის ოსტატმა ჯ. ბერაძემ.

შემდეგ მსოფლიო ჩემპიონმა პასუხი გასცა შეხვედრის მონაწილე ჩეკისტთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს. მონაწილეობა მიიღო ერთდროულ სეანსში, რომელიც 26 დაფაზე გაიმართა. მატჩში მილიციის მუშაკებთან ერთად მონაწილეობდნენ ნორჩი მოჭადრაკეები. საპატიო სტუმარმა გააზრებული თამაში შეუქო პატარებს: მ. მდივანს, ო. ფორჩხიძეს, ფ. კირთაძეს, ბ. გურეშიძეს და მათ ყაიმი შესთავაზა.

ჭადრაკის დედოფალმა სამახსოვროდ ავტოგრაფები და რაც მთავარია დიდი ადამიანური სითბო აჩუქა მის მონაწილეებს.

**ლ. თალაკვაძე.**

* * *



**სურათზე:** მსოფლიო ჩემპიონს ჭადრაკში, მაია ჩიბურდანიძეს. მიესალმება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სანატორიუმ „აიას" მთავარი ექიმის მოადგილე, შ/ს კაპიტანი მ. ფორჩხიძე.

**ა. ალეინიკოვის** ფოტო.

**ტყიბულის** შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილის პოლიტიკურ ნაწილში, მილიციის მაიორის ბ. აბულაძის დოკუმენტურ მოთხრობაში „დამნაშავის სისხლიან კვალზე", რომელსაც მკითხველებს ვთავაზობთ 1956 წელს ქ. ტყიბულში მომხდარი ერთი დანაშაულის გამოძიების ისტორიაა აღწერილი. ავტორი საინტერესოდ მოგვითხრობს შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების თანამშრომელთა მიერ დამნაშავეთა ხაშიში ბანდის უვნებელყოფისა და ავაზაკთა მეთაურის, რეციდივისტის ა. ალექსანდრიდის შეპყრობის ფაქტებზე.

# დამნაშავის სისხლიან კვალზე

## (დოკუმენტური მოთხრობა)

### გასროლა გარიჟრაჟზე

**...ლენინის** სახელობის შახტის დასახლების მყუდროება ღამით რამდენიმე გასროლის ხმამ დაარღვია, სულ მალე კი შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების სამორიგეო ნაწილში ტელეფონის ზარი აწკრიალდა. მორიგე ყურმილს დასწვდა.

— მილიციის განყოფილების პასუხისმგებელი მორიგე გიორგი კერესელიძე გისმენთ.

— ალო! გელაპარაკებათ მილიციის შტატგარეშე ინსპექტორი გრიგოლ ბერიძე, ვიმყოფები ლენინის სახელობის შახტის დასახლების ტერიტორიაზე კალინინის ქუჩის დასაწყისში, — აღელვებული ხმა გაისმა ყურმილში, — რამდენიმე წუთის წინ უბნის ინსპექტორი ნოდარ კალმახელიძე მძიმედ იქნა დაჭრილი ბოროტმოქმედის მიერ, იგი სისხლისგან იცლება, მომეშველეთ!

მომხდარი შემთხვევის შესახებ მორიგემ სასწრაფოდ აცნობა მილიციის უფროსს და სისხლის სამართლის სამძებრო აპარატის მუშაკებს.

შემთხვევის ადგილზე მოსულმა ოპერატიულმა ჯგუფმა გონდაკარგული კალმახელიძე და მასთან მყოფი გაფითრებული ბერიძე იხილა.

არამზადების ნასროლი ტყვიებიდან ერთი მათგანი უეჭველად ფილტვში იყო გაჩხერილი, რადგან სისხლი ჩანდა დაჭრილის ტუჩებზე. დანარჩენი ორი ნატყვიარი თუმცა საშიში არ იყო, მაგრამ ჭრილობებიდან სისხლი უხვად დიოდა. სასწრაფო დახმარების ავტომანქანამ დაჭრილი ქალაქის საავადმყოფოში წაიყვანა.

* * *

**...გაზაფხულის** ნათელი ღამეა. სავსე მთვარეს მოვარდისფრო ათინათი შემორკალვია. მისი სხივების ანარეკლს განუმეორებელი სილამაზით შეუმოსავს ნაქერალას ქედი, რომლის ძირშიც „შავი ოქროს" ქალაქია გაშენებული.

ახლადდაწინაურებული უბნის ინსპექტორი ნოდარ კალმახელიძე მისთვის ჩვეული გულმოდგინებით აკეთებს ტერიტორიის შემოვლას.

სამუშაო ძალიან ბევრია, საფიქრალიც დღითიდღე ემატება...

ნაქერალას ქედიდან მონადენმა ღამისეულმა სიგრილემ ფიქრებიდან გამოარკვია, საათს დახედა, 3 საათი სრულდებოდა.

— ახლა კი დროა წავიდე, მალე ირიჟრაჟებს. — ჩაილაპარაკა მან და გზას გახედა, ქუჩაში ადამიანის ჭაჭანება აღარ იყო.

ის იყო შინ მისულს დაღლილი სხეული მოუდუნდა და სასიამოვნო ძილბურანმა თავი წაართვა, რომ ტელეფონის ზარიც აწკრიალდა. ნოდარი ბურანიდან გამოერკვა და უსიამოვნოდ შეიშმუშნა, ყურმილი აიღო.

— ალო, გისმენთ!...

— კალმახელიძის ბინაა?

— დიახ, გისმენთ, მე ვარ — ნოდარი.

— ნოდარ, დათიკო გაწუხებთ.

— რამ შეგაწუხა ასე გვიან, რაშია საქმე ბატონო დავით?!

— იცით, რა ნოდარ სტუმრები მეწვიენ და...

— რას ამბობ, რა დროს სტუმრებია, მთელი დღე ფეხზე ვდგევარ, ქანცი აღარა მაქვს. ბოდიში დავით, ხვალ ადრე ვარ ასადგომი, — უპასუხა და ყურმილი დაუშვა.

ისევ დაიწკრიალა ზარმა.

— კაცო არ გეხუმრები, ან ამ წყვარამ ღამეში სასტუმროდ სად მცალია, თავისებური „სტუმრები" იყვნენ ისინი, დაუპატიჟებლები. გაიგე? — აღელვებით გაისმა ყურმილში.

— რაო! რაო! — შესძახა ნოდარმა.

— ხმაურზე გამეღვიძა, ოთახში პირახვეული მორჩილი ტანის კაცი ფანჯრიდან შემოძვრა. ხელდახელ შევებით ერთმანეთს. მეორემ გარედან რამდენიმეჯერ გაისროლა, უცნობი დამისხლტა და ფანჯრიდან გადახტა, ქუდი და პირსახვევი აქვე დარჩა.

— ახლავე მოვრბივარ, — ჩასძახა ყურმილში უბნის ინსპექტორმა. ტანსაცმელი სწრაფად ჩაიცვა, იარაღი გასინჯა, კარი გამოკეტა და თავქვე დაეშვა. სასწრაფოდ შეირბინა მახლობლად მცხოვრებ შტატგარეშე ინსპექტორთან, გრიგოლ ბერიძესთან და აჩქარებით აუხსნა სად უნდა შეხვედროდა, თვითონ კი სირბილით მიჰყვა უკაცრიელ ქუჩას.

„ოღონდაც არ გამასწრონ" გაუელვა გუნებაში, როდესაც კალინინისა და მეშახტის ქუჩების დამაკავშირებელ უსაშველოდ გრძელი კიბის ბოლოს მიუახლოვდა.

ფიქრი დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან კიბის დასაწყისში ორი სილუეტი გამოჩნდა, რომლებიც რატომღაც შეჩერდნენ და კიბეზე აღარ ჩამოვიდნენ. „უნდა შევამოწმო, იქნებ ისინი არიან" გაიფიქრა ნოდარმა და ჩქარი ნაბიჯით აუყვა კიბეს.

— საიდან მოდიხართ? — ჰკითხა უბნის ინსპექტორმა, როდესაც უცნობებს მიუახლოვდა.

— შახტიდან, სამუშაოდან — უპასუხა დაბალი ტანის ახალგაზრდამ და სიგარეტის ნამწვავი მოისროლა. მეორემ, მაღალმა ქერა ახალგაზრდამ, ფრთხილად დააპირა გაცლოდა, გვერდი აუარა და რამდენიმე საფეხურით ძირს ჩავიდა, უბნის ინსპექტორმა იგი შეაჩერა.

— ცვლა დიდი ხანია დამთავრებულია.

— სამუშაო იყო დასამთავრებელი და არ გამოგვიშვეს — ხმის აწევით და დამტვრეული ქართულით უთხრა დაბალმა ახალგაზრდამ... თუმცა რა შენი საქმეა სად დავდივართ, შეუტია უცნობმა და ნოდარისაკენ დაიძრა.

ნოდარს ეჭვიც კი აღარ ეპარებოდა, რომ დამნაშავეებს გადააწყდა. მართლმართლა მყოფმა სწრაფად შეაფასა სიტუაცია და გადაწყვიტა მათი დაკავება, რადაც არ უნდა დაჯდომოდა.

— ხელები მაღლა! — შესძახა მან და შემართული პისტოლეტი უცნობს მკერდში დაუმიზნა, რადგან უცნობმა ლაბადის ჯიბეში ჩაიყო ხელი, — ადგილიდან არ დაიძრათ!

მოულოდნელად საქმე სულ სხვაგვარად შეტრიალდა, გაისმა სროლის ხმა. უბნის ინსპექტორი შეტორტმანდა და მკერდზე იტაცა ხელი, აუტანელი ტკივილი იგრძნო, მაგრამ თავს ძალა დაატანა და თვითონაც გაისროლა. უცნობი დაეცა.

ახლა ქვედა მხრიდან მოისმა სროლის ხმა, ნოდარი მეორე ავაზაკს მიუბრუნდა და ორჯერ გაისროლა მისი მიმართულებით, კარგად დაინახა, რომ უცნობი სიბნელეში გაუჩინარდა.

ნოდარს ორთავე ფეხებზე თითქოს ცეცხლი შემოენთო, ძალგამოლეული წაბორძიკდა მიწაზე გართხმული მგმინავი უცნობისაკენ, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ მოცელილივით დაეცა.

დათქმულ ადგილზე მალე მოვიდა გრიგოლ ბერიძე, რომელმაც დაჭრილს ხელიდან ფრთხილად გამოაცალა იარაღი და ტელეფონის საძებრად გაიქცა...

●

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**ОБЪЯВЛЕНИЕ**

**В ПОМЕЩЕНИИ** справочно-информационного фонда (спецбиблиотеке) Информационного центра МВД ГССР открыта выставка специзданий на тему: «Организованная преступность и борьба с ней».

ინდექსი 66639

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064. УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კოგალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

უე 00194